საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION




# საია მოუწოდებს უზენაესი სასამართლოს თამჯდომარეს საზოგადოებას წინასწარ აცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის კანდიდატურის შესახებ

2020 წლის 15 ივნისს უფლებამოსილების ვადა ეწურება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძეს, რომელიც თანამდებობაზე უზენაესი სასამართლოს კვოტით დაინიშნა.[1] მოქმედი კანონმდებლობის **შესაბამისად, უზენაესი სასამართლო ვალდებულია 15 მაისიდან 5 ივნისამდე პერიოდში შეავსოს ვაკანსია.[2]** ამის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პლენუმი[3], ხოლო კანდიდატს **ასახელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.[4]**

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად არაერთი მოწოდებისა,[5] **პლენუმმა ერთი თვის წინ, საგანგებო მდგომარეობის პირობებში** თანამდებობაზე უკვე დანიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს ერთი წევრი, ხვიჩა კიკილაშვილი[6]. პროცესი დახურულ კარს მიღმა წარიმართა. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ მხოლოდ დანიშვნის შემდეგ გახდა ცნობილი და საზოგადოებას არ მიეცა შესაძლებლობა ჯეროვანი დისკუსია გაემართა ამ საკითხთან დაკავშირებით.

ამ ნეგატიურ გამოცდილების გათვალისწინებით, მოვუწოდებთ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, უშუალოდ კანდიდატის საკონსტიტუციო სასამართლოში დანიშვნის კენჭისყრამდე **გონივრული ვადით ადრე გაასაჯაროოს ინფორმაცია პრეტენდენტის შესახებ. ეს საზოგადოებას მისცემს შესაძლებლობას წარდგენილი პირის მიმართ დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია, საჯარო მსჯელობა და ღია პროცესი კი გაზრდის სასამართლოს მიმართ ნდობას.**

---

1 ??????????????????????,????????????????????????????????????????-??????,??????????????: https://bit.ly/3dBp7DG, ??????????? 14.05.20.

2 ????????????????????????????????????????????????????????????????-16??????-5??????.

3 ???????????????????????????????????????????????????????????-18???????-2???????„?“?????????.

4 ????????????????????????????????????????????????????????????-7??????-2??????.

5 ??????????????????????????????????????????????????????????????????????????????, ????????: https://bit.ly/3bpoafU, ????????????: 11.05.2020.

6 ????????????????????????????????????????????????????2020, ???????, ??????????: https://bit.ly/2xT9Kap, ????????????: 14.05.2020.